ბანთიადი

VI კლასი 2025 წელი ლიდერი სეზონი

სახელი, გვარი , ტელეფონი ______________________________

სკოლა ______________________________

მასწავლებელი ______________________________

დავალება ფასდება 2 ქულით

1. რამდენი ხუთნიშნა რიცხვია ისეთი რომლის ციფრთა ჯამია ორი?

ა) 3 ბ) 4 გ) 5 დ) 2

დავალება ფასდება 3 ქულით

2. რამდენი მარტივი რიცხვია ერთიდან 100 - მდე?

ა) 22 ბ) 24 გ) 23 დ) 25

დავალებები ფასდება 5 ქულით

3. გამოთვალე უსგ ( 33; 51) + უსჯ ( 33; 51)?

ა) 160 ბ) 561 გ) 190 დ) 564

4. მასწავლებელმა დაფაზე დაწერა რიცხვი, ნუცამ ეს რიცხვი აიყვანა კვადრატში და გამოაკლო ოთხის კუბი. მან მარტივი რიცხვი მიიღო. რა რიცხვი დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?

ა) 8 ბ) 10 გ) 9 დ) 11

დავალებები ფასდება 7 ქულით

5. ამოხსენი განტოლება; $18 : \left(\frac{372}{3x} - 1\right) + 28 = 34$

ა) 37 ბ) 30 გ) 31 დ) 20

6. ვთქვათ a რიცხვი 7, 401 - სა და 7, 402 შორისაა. რა რიცხვია a?

ა) 7, 4015 ბ) 7, 4005 გ) 7, 4025 დ) 7, 451

7. ერთი საათის რა ნაწილი უნდა დავუმატოთ 7 წუთს, რომ მივიღოთ 27 წუთი?

ა) $\frac{1}{2}$ ბ) $\frac{1}{5}$ გ) $\frac{1}{3}$ დ) $\frac{1}{4}$

დავალებები ფასდება 8 ქულით

8. შოთამ იყიდა ერთი საზამთრო და ერთი გოგრა. საზამთრო 4 კგ - ით მსუბუქი აღმოჩნდა გოგრაზე, ხოლო გოგრის მესამედი ნაწილი 2 - ჯერ მსუბუქი საზამთროზე. რას იწონის საზამთრო?

ა) 4 კგ ბ) 6 კგ გ) 16 კგ დ) 8 კგ

9. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა მცდარი?

ა) გაშლილი კუთხის გრადუსული ზომა ორჯერ მეტია, მართი კუთხის გრადუსულ ზომაზე.

ბ) შესაძლებელია სამკუთხედის სამივე კუთხე მახვილი იყოს.

გ) სამკუთხედის ორი გვერდის ჯამი მეტი უნდა იყოს მესამე გვერდზე.

დ) სამკუთხედში შესაძლებელია ორი კუთხე ბლაგვი და ერთი კუთხე მახვილი იყოს.

10. თეკლამ დაფაზე დაწერა წილადი, რომლის მნიშვნელი 11 - ით მეტია მრიცხველზე და მნიშვნელისა და მრიცხველის ჯამია 27. რას მივიღებთ თუ ამ წილადის მრიცხველს გავამრავლებთ მნიშვნელზე

ა) 141 ბ) 152 გ) 156 დ) 151

დავალებბია ფასდება 10 ქულით

11. აუზს შეერთებული აქვს სამი მილი. მხოლოდ პირველი აუზს ავსებს 5 საათში. მხოლოდ მეორე მილი 6 საათში. მხოლოდ მესამე მილი 2 საათში. აუზის რა ნაწილი დარჩება ასავსები თუ აუზი ცარიელია და სამივე მილს ერთი საათით გავხსნით ?

ა) $\frac{1}{15}$ ბ) $\frac{7}{15}$ გ) $\frac{2}{15}$ დ) $\frac{1}{5}$

12. რამდენი ორნიშნა კენტი რიცხვი არსებობს, სადაც ერთი მაინც კენტი ციფრია?

ა) 65 ბ) 66 გ) 70 დ) 76

13. მართკუთხა პარალელეპიპედის 1 სმ; 1 დმ; 1 მ; იპოვე მისი მოცულობა?

ა) $1$ მ$^3$ ბ) $0,1$ მ$^3$ გ) $0,01$ მ$^3$ დ) $0,001$ მ$^3$

14. ნატამ მოაგროვა 20 მწვანე, 16 ყვითელი და 14 წითელი ფოთოლი. პირველ დღეს მან 24 ფოთოლი აკინძა. მეორე დღეს 20 წითელი და ყვითელი ფოთოლი. რა უმცირესი წითელი ფოთოლი შეიძლებოდა დარჩენოდა ნატას ასაკინძი?(თუ ნატა ყველა დანარჩენ ფოთოლს გამოიყენებდა)

ა) 4 ბ) 6 გ) 7 დ) 8